meliora

საქართველოს პასუხისმგებელი
ბიზნესის კონკურსი

2020

პასუხისმგებელი ბიზნესი და COVID-19

Meliora - 2020

პასუხისმგებელი ბიზნესი და COVID 19

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) წელს უკვე მესამედ ატარებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საუკეთესო ინიციატივების ყოველწლიურ კონკურსს - საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსს Meliora.

Meliora ლათინური სიტყვაა და „საუკეთესოს" ნიშნავს. კონკურსი Meliora ყოველწლიურად გამოავლენს და დააჯილდოვებს საქართველოში მოქმედ იმ კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ შთამაგონებელ და სამაგალითო პროექტებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში, კომპანიებს, რომლებიც ცდილობენ უკეთესობისკენ შეცვალონ საქართველო.

COVID-19-ის თანმხლები გამოწვევების გამო, ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვეცვალა კონკურსის პირობები. ჩვენ გვჯერა, რომ ამ უჩვეულო და უპრეცენდენტო პერიოდში, პასუხისმგებელი ბიზნესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აქამდე ოდესმე ყოფილა.

ამ რთულ რეალობაში ბიზნესის მხარდასაჭერად, ჩვენ გადავწყვიტეთ მივუძღვნათ 2020 წლის კონკურსი იმ პროექტებსა თუ ინიციატივებს, რომლებიც კომპანიებმა თავიანთი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებობის ფარგლებში განახორციელეს პანდემიით გამოწვეულ კრიზისთან გასამკლავებლად.

წელს კონკურსი ისევ ტარდება პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად-ადენაუერის ფონდი. კონკუსს მხარს უჭერს არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ბიზნეს ასოციაცია და სახელმწიფო უწყება.

კონკურსის კატეგორიები

წელს ჯილდო გაიცემა ოთხ კატეგორიაში, რომლებიც მოიცავს COVID-19-ის კრიზისის საპასუხოდ კომპანიების პასუხისმგებელი ინიციატივების ძირითად თემებს:

- **თანამშრომელთა მხარდაჭერა COVID-19 -ის პანდემიის პერიოდში**
- **მომხმარებელთა და მომწოდებელთა მხარდაჭერა COVID-19-ის პანდემიის პერიოდში**
- **საზოგადოების მხარდაჭერა COVID-19 -ის პანდემიის პერიოდში**
- **მცირე ბიზნესის და დაზარალებული სექტორების მხარდაჭერა COVID-19 -ის პანდემიის პერიოდში**

ვის შეუძლია განაცხადის შემოტანა?

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ როგორც მსხვილ, ისე მცირე/საშუალო ზომის კომპანიებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ 2020 წელს COVID-19-ის კრიზისის საპასუხოდ განხორციელებული პროექტი ან ინიციატივა.

ნებისმიერი ზომის კომპანიას ექნება გამარჯვების თანაბარი შანსი, რადგან მონაწილეთა განაცხადები შეფასდება არა ერთმანეთთან შედარებით, არამედ შეფასების სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით. თითოეულ კატეგორიაში შესაძლებელია ორი პარალელური ჯილდოს მინიჭება: ცალკე - მსხვილი და ცალკე მცირე/საშუალო ზომის კომპანიისთვის.

ძირითადი თარიღები:

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი "Meliora" განაცხადების მიღებას დაიწყებს 2020 წლის 5 ნოემბერს.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2020 წლის 7 დეკემბერი

დაჯილდოების ღონისძიება გაიმართება 2021 წლის გაზაფხულზე.

ვინ და როგორ შეაფასებს განაცხადებს?

წამყვანი ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან შემდგარი დამოუკიდებელი ჟიური შეაფასებს ნომინანტებს და გამოავლენს საუკეთესოებს შეფასებისა და ქულების მინიჭების სახელმძღვანელოს მიხედვით (რომელიც ხელმისაწვდომია კონკურსის ვებგვერდზე: www.meliora.ge).

შეფასების პროცესი დამოუკიდებელია, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის (კონკურსის ორგანიზატორის) არც ერთი წარმომადგენელი არ არის ჟიურის შემადგენლობაში. ჟიურის წევრები არიან საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს კონკურსის მაღალ სანდოობას.

თითოეული კატეგორია ფასდება დამოუკიდებლად.

გამარჯვებულების დასახელება - დაჯილდოების ცერემონია

კონკურსის გამარჯვებულების გამოცხადება მოხდება დაჯილდოების ოფიციალურ ცერემონიაზე, რომელიც 2021 წლის გაზაფხულზე გაიმართება. მიუხედავად იმისა, გაიმარჯვებთ თუ არა კონკურსში, გარწმუნებთ, რომ დაჯილდოების ცერემონიის დღე თქვენთვის იქნება დაუვიწყარი!

MELIORA წინა წლებში

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora CSRDG-მ 2018 წელს დააფუძნა. კონკურსმა ძალიან ბევრი პარტნიორი და მხარდამჭერი შეიძინა: 2019 წელს კონკურსს უკვე ჰყავდა 22 მხარდამჭერი (თითქმის ყველა წამყვანი ბიზნეს ასოციაცია, რამდენიმე სამინისტრო და პარლამენტის კომიტეტი) და 18 მედია პარტნიორი.

2018 წელს კონკურსში მონაწილეობა მიიღო ორმოცდასამმა კომპანიამ 77 პროექტით, ხოლო 2019 წელს ორმოცმა კომპანიამ (აქედან 20 მცირე და საშუალო ბიზნესი) 73 პროექტით.

ამ ორი წლის განმავლობაში კონკურსის შესახებ მომზადდა 76 სატელევიზიო სიუჟეტი, 6 რადიო გადაცემა, 106 სტატია ონლაინ თუ ბეჭდურ ჟურნალებში.

კონკურსის ორგანიზატორია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), რომელიც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი საექსპერტო ორგანიზაციაა; კონკურსი ტარდება მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ საექსპერტო ორგანიზაციასთან, ბიზნეს-პლატფორმასა და სამთავრობო ინსტიტუტთან თანამშრომლობით. ყოველივე ეს კონკურსს Meliora საქართველოს მასშტაბით კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების სფეროში ერთ-ერთი წამყვანი ინიციატივის სტატუსს ანიჭებს.

გვჯერა, რომ კონკურსი MELIORA მთელი ქვეყნის მასშტაბით გახდება მნიშვნელოვანი ცვლილებების, ბიზნესის წარმატების და კორპორაციული პასუხისმგებლობის შთაგონების წყარო.

პროექტის შესახებ

კონკურსი ტარდება პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ (2017-2020) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის(KAS) ხელმძღვანელობით. კონსორციუმში ასევე შედის 4 ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაცია: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC). პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი (KAS).

კონკურსის განმახორციელებელი ორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (www.csrdg.ge) არის საზოგადოებრივი, არამომგებიანი, არაპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1995 წელს და აქვს სამოქალაქო სექტორში წარმატებული მუშაობის 24-წლიანი გამოცდილება. ამ ხნის მანძილზე ცენტრი ეფექტურად საქმიანობს ქვეყნის განვითარების ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა: სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა, გარემოს დაცვა, დეცენტრალიზაცია, მომხმარებლის უფლებები, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალური მეწარმეობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:
www.csrdg.ge; https://www.facebook.com/CSRDG/

კონკურსის პარტნიორები

კონკურსის მედია პარტნიორები

კონკურსის სპონსორი

www.meliora.ge

ეს ბროშურა შეიქმნა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.